

ბოშათა თემი საქართველოში: ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის
სოციალური დეტერმინანტები

ავტორი: თინათინ ფხაკაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ფხაკაძე-----22.06.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოში, ბოშათა თემის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დეტერმინანტების კვლევას. საქართველოში ამ თემის ახალგაზრდები ძირითადად ქუჩასთან არიან დაკავშირებულნი. მიზეზები თუ რატომ ხვდებიან ქუჩაში სხვადასხვა სახის არსებობს. კვლევა არის აღწერითი სახის. გამოყენებული არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. ეს არის ფართო მაშტაბიანი კვლევის ნაწილი, რომელიც ხორციელდება სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის მიერ.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ კეთილდღეობის თვალსაზრისით ბოშები ზრუნავენ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე, ხოლო განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხი უფრო მწვავედ დგას, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თუმცა ძირითადი მიზეზი მათი პირადი დოკუმენტების არ ქონა არის. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მათი ცხოვრების პირობები, საჭიროა მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სოციალური და ჯანდაცვის სერვისები, განათლების სისტემაში ჩართვა და სტიგმის დაძლევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები, ჯანმრთელობა, განათლება, კეთილდღეობა, რისკ ფაქტორები, ადრეული ქორწინება, აბორტი.

ABSTRACT

Presented research project is about gypsy health and welfare determinants in Georgia. Young people in this community are mainly connected to the street in Georgia. There are different kind of reasons why they work in the street. The survey is a descriptive type. The study uses qualitative research method, in particular semi-structured interview method. This is wide range of research, conducted by Social Services Research Center for Social Services and Interventions.

The analysis revealed that Roma people care for each other's safety, but education and health issues are more acute because of various reasons, but main reason is that they don't have their personal documents. In order to improve their living conditions, it is important that Social and Healthcare services become more available for them. Also it's important that they get involved in the education system and overcome stigma.

Key words: *street-youth; health; education; welfare; Risk factors; early marriage; abortion.*